1989

პლურალიზმი? არა — „მუნდირის დაცვა“

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისათვის ამ წერილის გამოგზავნა ვალდამაწყვეტინა ამავე გაზეთის 18 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულმა ენგურჰესის კასკადის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსის გია ხუბუას სტატიამ „ისტერიული კივილი თუ გააზრება?“.

თუ გავაანალიზებთ აღნიშნულ წერილს, მასში მოყვანილ ეპითეტებს, პასაჟებს და ა. შ., ძალაუნებურად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ იგი გაგრძელებაა სერიალისა, რომელიც ვ. ჩხუმიანის წერილის — „არა“! („ლიტერატურული საქართველო“, 30 დეკემბერი, 1988), შემდეგ, „მუნდირის დასაცავად“ დაიწყო. მხედველობაში გვაქვს წერილები: „როდემდე გაგრძელდება ხუდონჰესის ბლოკადა!“ (ნ. მოწონელიძე „ახალგაზრდა კომუნისტი“, 26 იანვარი, 1989) და „მსჯელობა მცდარი არგუმენტებით?!“ (ა. მოწონელიძე „კომუნისტი“, 9 თებერვალი, 1989). მართლაც, ვ. ჩხუმიანი თავის წერილში, განიხილავდა რა ჰიდროელექტროსადგურების ეკოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სპეციალისტის მიერ აღძრულ საკითხებს, წერდა: „რამდენადაც დასახელებულ მასალებში მოყვანილი დასკვნები არავის გაუხდია სადავოდ (ყოველ შემთხვევაში, მე არ შემხვედრია პრესაში მათი უარყოფა), ვთვლი, რომ ეს დასკვნები სწორია და უფლება მაქვს დავეყრდნო“. ამ წერილით ვ. ჩხუმიანი „მუნდირის დაცვისათვის“ მოუწოდებდა [illegible]როტექნიკოსებს (რომლებ[illegible] ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათ [illegible] საქართველოში დიდი წყა[illegible]ვების მოწყობის „ინერცი[illegible]“), და არა ფაქტების მან[illegible]იისათვის, ან...

[illegible], დღეს, პლურალიზმის [illegible] არ იკრძალება საკუთა[illegible] აზრის გამოთქმა, მაგრამ რო[illegible]ეს საჯაროდ ბრალს [illegible]დენციურობაში, ეჭვი [illegible]ვანია კეთილსინდისო[illegible] კვალიფიკაციაში, სა-

გაჩერებას. საქმე ის გახლავთ, რომ არც ერთ პუბლიკაციაში მსგავსი მოსაზრება არ ყოფილა გამოთქმული. დღეს საზოგადოება, ისევე როგორც სპეციალისტთა გარკვეული წრე, წინ აღუდგა არა საერთოდ ჰიდროენერგომშენებლობას, არამედ მხოლოდ იმ ობიექტების მშენებლობას, რომლებიც ეკოლოგიურად დაუსაბუთებელია და ამდენად გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ბუნებას, გააუარესებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, უარყოფითად იმოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ა. შ. ეს აზრი, რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკულ პრობლემებთან დაკავშირებით, ლაიტმოტივია ყველა ჩემი გამოსვლისა თუ პუბლიკაციისა. სხვათა შორის, ჩემს წერილში, რომელიც განსჯის საგნად გაუხდია გ. ხუბუას, ფართო მკითხველს რომ დასკვნები სწორად გამოეტანა, პარალელი ქარხნებსა და მათ საკვამლე მილებს შორის მაქვს გავლებული, მაგრამ რატომღაც ეს შედარება მისთვის, როგორც სპეციალისტისთვისაც კი, არ აღმოჩნდა გასაგები.

ახლა რაც შეეხება ხუდონჰესის მშენებლობას. ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, როდესაც საზოგადოებრიობამ ხმა აიმაღლა ხუდონჰესის ეკოლოგიურ პრობლემებზე, მშენებლები, დამპროექტებლები და სპეციალურად გამოყოფილი კომისიის წევრთა უმეტესობა (პროფ. გ. ჩოგოვაძე, პროფ. ნ. მოწონელიძე და სხვ), როგორც

მას ენგურჰესის კასკადთან დაკავშირებული ესა თუ ის ეკოლოგიური პრობლემა, ურიგო არ იქნებოდა რამდენიმე მაგალითის მოყვანა.

გ. ხუბუა წერს: „თუ ენგურჰესის კომპლექსური შეფასება არავის ჩაუტარებია, რატომ, რის საფუძველზე გაუხდა მას თავი გასამართლებელი?“ ჩვენ კარგად გვესმის იმ კაცისა, რომელიც „მუნდირის ღირსებას“ იცავს, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ მიუხედავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 და 1985 წლების დადგენილებებისა, რომლებიც ეხება მდინარე ერისწყლის კალაპოტში ენგურის გადაგდების უარყოფითი შედეგებისა და ზუგდიდის რაიონის სახალხო მეურნეობისათვის ზარალის მიმყენებელი სხვა პროცესების აღმოფხვრის კომპლექსურ ღონისძიებათა პროექტის შემუშავებას, ეს პრობლემები დღესაც მოუგვარებელია? აქ არაფერს ვიტყვით ამავე დადგენილებაში შეტანილ ენგურის შესართავისპირა ნაწილში ქვიშის ზვინულის გაწმენდის, ენგურის შენაკადების ჭალაში დაგროვილი ხრეშ-ქვიშის მასის ამოღების, ენგურჰესის სარინი არხისა და მდინარე ხობის შესართავებს შორის შავი ზღვის სანაპიროს წარეცხვისაგან დაცვისა და სხვა საკითხებზე, რომლებსაც რატომღაც გ. ხუბუა „წვრილმანად“ თვლის, ან ენგურჰესს არ მიაწერს.

ენგურჰესის კასკადით რეგიონ-

ებლობას. ახლა ძნელი დასადგენია, რა მოსაზრებით „ადანაშაულებდნენ“ მდინარე ენგურის ჩრდილოეთით და სამხრეთით განლაგებულ მდინარეებს (რიონს, ბზიფს, კოდორს...), ხოლო ენგურის დარეგულირება „უცოდველად“ მიაჩნდათ, მაგრამ ფაქტი ერთია: საკითხისადმი ასეთი მიდგომა დღესაც გრძელდება, რამაც, ცხადია, სათანადო გავლენა იქონია გ. ხუბუას და არა მარტო მის მსოფლმხედველობაზე.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გ. ხუბუას ერთ „დებულებასაც“ — „რამდენადაც ჩემი წერილი ფართო მკითხველისთვის არის განკუთვნილი, უნდა ვთქვა, რომ წყალსაცავის დასილვით ჰესის მუშაობა არ წყდება, კაშხალს კი წყალსაცავის შექმნასთან ერთად აქვს მეორე ფუნქციაც — დაწნევის გაზრდა“.

ჩვენი აზრით, რაგინდ მიამიტიც უნდა იყოს ფართო მკითხველი, მას აუცილებლად დაებადება სამართლიანი კითხვა — თუ ჰესი მდინარის უშუალო ჩამონადენზე იმუშავებდა და ეფექტსაც არ დავკარგავდით, მაშინ რაღა საჭირო იყო ჩვენს ისედაც მცირემიწიან ტერიტორიაზე 271,5 მეტრის სიმაღლის კაშხლისა და 1,1 მილიარდ კუბურმეტრიანი წყალსაცავის მოწყობა, რომელსაც შეეწირა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ულრანი და დიდპროდუქტიული ტყის მასივები, რომ არაფერი ვთქვათ მოსახლეობის მიგრაციასა და სხვა მოვლენებზე? ასე რომ,

გვთავაზობს: „თქვენი კორექტირების შემდეგ ზუსტი ვადის დადგენას (იგულისხმება ენგურჰესის მშენებლობისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვადები — მ. ღ.). ბევრი ახალი მონაცემი სჭირდება (სხვათა შორის თვითონვე ეწინააღმდეგება საკუთარ თავს!). ამიტომ ამას ვერ შევძლებ ამჯერად. მიახლოებით კი ვიტყვი: ჩემი აზრით, დადგენილი დრო უმნიშვნელოდ შეიცვლება“. თუ გ. ხუბუას ასე იოლად შეუძლია შეაფასოს ეკოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებული ხარჯები, რაღა ვხარჯავთ ამდენ დროსა და სახსრებს კომპლექსური ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის?!

ალბათ, ურიგო არ იქნებოდა მკითხველისათვის შეგვეხსენებინა გ. ხუბუას კიდევ რამდენიმე შეხედულება „მცირე ენერგეტიკაზე“. კერძოდ, იგი წერს: „მცირე ჰესებს ერთი უპირატესობა აქვს — ავარიის შემთხვევაში (რისა აბსოლუტური გამორიცხვა არავის არ ძალუძს) ისინი არ ქმნიან რაიმე სერიოზულ საშიშროებას, ეს მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ, ასე მგონია, ზედმეტად აიდეალურებთ მცირე ჰესებს ეკოლოგიური თვალსაზრისით“. ჯერ ერთი, გ. ხუბუა ამ აზრით ეწინააღმდეგება მსოფლიოს ჰიდროენერგეტიკის დღევანდელ ტენდენციებს, და მეორეც, თუ ავარია გამორიცხული არ არის, მაშინ რატომ უკვირს ჩვენი საზოგადოების აღშფოთება დიდი წყალსაცავების მოწყობის გამო?!

საკმაოდ გაუგებარია, როდესაც იგი წერს „ექსპლუატაციის თვალსაზრისით „მცირე ენერგეტიკას“ გარკვეული სიძნელეები ახლავს სარემონტო მომსახურების, კადრებისა და სხვა მხრივ“, მაშინ როდესაც ცოტა მოგვიანებით თვითონვე მიუთითებს, რომ „1955 წლისათვის საქართველოში ოთხასზე მეტი მცირე და მიკროჰიდროელექტროსადგური იყო“.

ან კიდევ, როდესაც წერს, „მცირე ენერგეტიკის“ განვითარებისათვის დაგვჭირდება ათასო-

ლოგიურად დაუსაბუთებელი „დიდი წყალსაცავების“ მოწყობის წინააღმდეგ მიმართული ჩვენი წერილები. ამ მიზნით იგი ისეთ ხერხებსაც მიმართავს, რომელთა კვალიფიკაცია ცოტა საჩოთიროც კია.

თავის სტატიაში იგი, კერძოდ, წერს: „მ. ღოლობერიძე... იმოწმებს რა ი. დევდარიანისა და ა. კართანოვის გამოკვლევებს... აღნიშნავს, რომ საქართველოში მცირე მდინარეების ტექნიკური პოტენციალი შეადგენს 40 მილიარდ კილოვატსაათს“..

დაინტერესებული მკითხველი კი იოლად დარწმუნდება, რომ სტატიაში „ხუდონჰესი-ტრიბუნად?!“ („კომუნისტი“, 16, II, 89) მცირე ჰესების სიმძლავრის დადგენისათვის გამოვიყენეთ მხოლოდ პროფესორ გ. ჩოგოვაძის საგაზეთო პუბლიკაციები. რა შეიძლება ეწოდოს ამას ყოველივეს?

ახლა ისიც ვნახოთ, როგორ ბრალდებას გვიყენებს გ. ხუბუა გ. ჩოგოვაძის ნააზრევის გამოყენებისათვის: „მ. ღოლობერიძე თავის სტატიაში, ეყრდნობა რა პროფესორ გიორგი ჩოგოვაძის საგაზეთო პუბლიკაციებს, საქართველოს მცირე ჰესებით ელექტროენერგიის გამომუშავების შესაძლო სიმძლავრედ 15 მილიარდ კილოვატსაათს მიიჩნევს“. საინტერესოა, რატომ მივიდა ავტორი ამ დასკვნამდე? იმიტომ ხომ არა, რომ მას სურს ასე იყოს? პროფესორ გ. ჩოგოვაძის ციტატა იმის თაობაზე, რომ მცირე ჰესებით დღეს ყოველწლიურად შეიძლება 15 მილიარდი კილოვატსაათის გამომუშავება და „რომ მცირე ენერგეტიკა სავსებით შეესატყვისება დიდი ენერგეტიკის მოთხოვნას“, ჩვენ ხომ მარტო იმის საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ, რომ თვითონ ჰიდროტექნიკოსები უბნევენ გზას როგორც საზოგადოებრიობას, ისე, სათანადო ხელმძღვანელ ორგანოებს (ასეთი ფაქტები წინამდებარე წერილშიც ხომ არაერთგზის ვამხილეთ!)? ცოტა ყურა-

...და, რაც მთავარია, ...ძლიანი მაგალითე... არ შეიძლება.

...ცოტა დამაფიქრებ... ...ენგურჰესზე და სა... ...რომშენებლობაზე ჩვე... ...ეგალოებრიობის შეხედულ...ების მკვეთრი შეცვლა (სხვათა შორის, ჰიდრომშენებლობაზე შეხედულებები დღეს მსოფლიო მასშტაბით შეიცვალა! — მ. ლ.). ამას ...გი უპირველესად მწერალ ვ. ჩხუ...ანის, ეკონომიკის მეცნიერებათა ...ანდიდატის რ. გოცირიძის, გე...ოლოგია-მინერალოგიის მეცნიე...ებათა დოქტორის, პროფესორ ...იოსელიანის, მწერალ მ. ხერგია...ის, გეოლოგიის ინსტიტუტის დი...ექტორის, პროფესორ მ. ადამიას, ...ემს და სხვა სპეციალისტთა თუ ...არასპეციალისტთა პრესაში გამო...ქვეყნებულ სტატიებს მიაწერს. ...უფრო მეტიც, იგი წერს, რომ „...უკლებლივ ყველა, ასე ვთქვათ, ...ოპოზიციურ წერილში არის ტენდენციურობა".

გ. ხუბუა გარკვეულ დარიგებასაც კი აძლევს ალნიშნულ სპეციალისტებს: „ალბათ სჯობდა ჯერ სპეციალისტთა ვიწრო წრეში განხილულიყო ენერგეტიკული პრობლემები და შემდეგ გადატანილიყო პოლემიკა პრესაში". თუმცა ...მეთანხმებით, მას როგორც სპეციალისტს, რომ ...რაფერი ვთქვათ მის სამსახურებრივ მოვალეობაზე, ალბათ წარმოდგენა უნდა ჰქონოდა იმ სხვადასხვა ტექნიკურ კონფერენციებსა თუ თათბირებზე, რომლებზეც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მთელი სიმწვავით განიხილებოდა ენგურჰესის კასკადის თუ მდინარე რიონზე მოწყობილი კაშხლების გავლენა ეკოსისტემებზე. და რაკი ალნიშნული პრობლემების მხოლოდ „სპეციალისტთა ვიწრო წრეში" განხილვამ მაინც ვერ უზრუნველყო ჩვენში წყალსაცავების დაპროექტებისა და მშენებლობის საქმეში ეკოლოგიური ასპექტების სათანადო დონეზე გათვალისწინება, სწორედ ამან განაპირობა საზოგადოებრიობის სამსჯავროზე მათი გამოტანა.

ახლა, რაც შეეხება მთავარ ბრალდებას — თითქოსდა, ალნიშნულმა პუბლიკაციებმა გამოიწვია ახალგაზრდების მიერ შიმშილობის გამოცხადება, რომ...ებიც მოითხოვენ ჯვრის წ... ...ვის დაცლას და ენგურ... ...ასკადის

ზემდგომ ორგანოებში, ისე მასობრივი ინფორმაციის წყაროების საშუალებით ამტკიცებდნენ ობიექტის მშენებლობის აუცილებლობას იმავე პარამეტრებით, რომლებიც ჯერ კიდევ 1960 წელს იყო დადგენილი, ეკოლოგიური ასპექტები კი ასე მწვავედ არ იდგა მაშინ. ამ რამდენიმე ხნის წინათ კი მათ, დაწყებული ობიექტის (რომელზეც უკვე 100 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა!) ეკოლოგიური ექსპერტიზის დამთავრებამდეც კი უყოყმანოდ დაუჭირეს მხარი გადაწყვეტილებას ხუდონჰესის მშენებლობის ლიკვიდაციის თაობაზე.

საქმისადმი სწორედ ასეთმა მიდგომამ დააკარგვინა რწმენა ჩვენს საზოგადოებას ზოგიერთი ჰიდრომშენებლის მიმართ და არა იმ წერილების ავტორებმა, რომლებიც მასების ეკოლოგიურ განათლებას ემსახურებიან.

საერთოდ, ხუდონჰესის მშენებლობის კონსერვაციასა თუ ლიკვიდაციაზე დადგენილების გამოტანა, ვიდრე არ დამთავრებულა ეკოლოგიური ექსპერტიზა, ნაუცბათევ, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად გაუანალიზებელ გადაწყვეტილებად მიმაჩნია. ეს არაერთხელ აღმინიშნავს რადიოთი, ტელევიზიით და პრესის ფურცლებზეც („ლიტერატურული საქართველო" — 9 ივნისი, 1989 წ; „ქუთაისი" — 15 ივლისი, 1989 წ.). მართლაც, თუ რა სიმაღლის უნდა აშენდეს კაშხალი, და საერთოდ ავაშენოთ თუ არა იგი, ამის თქმა ეკოლოგიური ექსპერტიზის გარეშე, ყოველ შემთხვევაში დღეს, სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციისა და საზოგადოების მიმართ მკრეხელობაა. მშენებლობის ლიკვიდაციამ ან, თუ გნებავთ, მოქმედი ობიექტის გაჩერებას ღრმად მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები სჭირდება და არა მიტინგები და დროშები. მიტინგი ხომ იძულების ერთ-ერთი საშუალებაა. იძულებით დაცული ბუნება კი საბოლოო ანგარიშით დაცული მაინც ვერ იქნება.

მე არ დავიწყებ გ. ხუბუას მიერ მცდარად გაგებული თუ გაანალიზებული ყველა ფაქტის კრიტიკას, თუმცა საერთო დასკვნისათვის, უფრო სწორად, იმის წარმოსაჩენად, თუ როგორ ესმის მი შექმნილი რთული, ეკოლოგიურად კონფლიქტური სიტუაციების ანალიზი და დასკვნების გამოტანა იმ არგუმენტებით, რომ გ. ხუბუას ჰიდროენერგეტიკულ ობიექტებზე დანახარჯების ანაზღაურების ვადის საანგარიშო მეთოდი 70-იან წლებში ინსტიტუტში ეკოლოგიური ასპექტების გაუთვალისწინებლად ასწავლეს, ან რომ, „ენგურჰესის კასკადის პერსონალს ცოტა განსხვავებული მოსაზრება აქვს" და ა. შ. ჩემი აზრით, ცოტა ძნელი ასახსნელია.

ასევე ძნელია ირწმუნო გ. ხუბუას მტკიცებაც: „ენგურის ნატანი ზღვაში პრაქტიკულად არ ზემოქმედებდა შესართავის ჩრდილოეთით მდებარე პლაჟების ფორმირებაზე, რადგან საქართველოს სანაპიროზე შავ ზღვას ძლიერი დინება აქვს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ". ჯერ ერთი, არც ერთ ჩვენს წერილში არ არის უშუალოდ მითითებული ენგურის ნატანის პლაჟებზე ზემოქმედების კონკრეტული საზღვრები, რადგან მისი მოქმედების დიაპაზონი ჯერ კიდევ შესასწავლია.

მეორე, პლაჟები ენგურის შესართავის ჩრდილოეთით წარეცხება თუ სამხრეთით, ეს, ალბათ, არაფრით შეღავათს არ გვაძლევს.

და რაც მთავარია: პროფესორი გიორგი ჩოგოვაძე თავის წიგნში „საქართველოს ჰიდროელექტროსადგურები" (1971 წ. გვ. 230-232) წერს: „მდინარეების კაშხალებით დარეგულირების შედეგად მყარი ნატანის მწვავე დეფიციტმა კურორტ ძველი გაგრის რაიონში სწრაფად გაანადგურა პლა... ...ლონილი პარკის წინ და დაანგრია შენობები (მიუხედავად გ. ხუბუას ე. წ. „შავი ზღვის ძლიერი დინებისა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ"! — მ. ლ.) მდ. რიონი ყოველწლიურად აკლებს ზღვას 11 მილიონ ტონა ნატანს, რის გამოც ფოთთან ზღვა 600 მეტრით შეიჭრა ხმელეთზე, მდინარე ბზიფის დარეგულირება იმოქმედებს ბიჭვინთის კონცხზე, მდინარე კოდორის დარეგულირებით ნაპირების გარეცხვის ინტენსივობა 1,4 ჰექტარი იქნება წელიწადში" და ა. შ.

ასეთ პირობებში პროფესორი გ. ჩოგოვაძე იმავე წიგნში, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვერ" უხსნის მდინარე ენგურს და რეკომენდაციას უწევს 271,5 მეტრი სიმაღლის კაშხლის მშენ-

ალხითხული „დეფიციტის" ერთი ხელის მოსმით ჩამოყალიბება სპეციალისტს არ ეკადრება.

არასპეციალისტისთვისაც კი საკმაოდ არადამაჯერებელია გ. ხუბუას მსჯელობა, როდესაც იგი ენგურჰესის წყალსაცავის დასილვას ეხება. კერძოდ, გ. ხუბუა მთელ იმედებს კაშხლის ტანში დატოვებულ რამოდენიმე პატარა ნახვრეტზე (წყალსაგდებზე) ამყარებს. განა წყალსაგდები არ ჰქონდა ლაჯანურჰესის კაშხალს, რომ არაფერი ვთქვათ საერთოდ დასამლელი ტიპის კაშხლებზე, რომლებიც ჩვენს თვალწინ ამოივსო? ასე რომ, ალნიშნული წყალსაგდებები თეორიულადაც კი ვერ უზრუნველყოფს წყალსაცავის დაუსილავ ექსპლოატაციას.

რაკი სიტყვა წყალსაცავის დასილვაზე ჩამოვარდა, უნდა მოვიყვანოთ გ. ხუბუას კიდევ ერთი არგუმენტაცია, კერძოდ, იგი წერს: „დემურ ჩომახიძე თავის წერილში... (იგულისხმება წყალსაცავის დასილვის დროის გაანგარიშება — მ. ლ.) შეცდა. ამ შეცდომას, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა". დ. ჩომახიძე თავისი თეორიული გაანგარიშებით წყალსაცავის უქმი და მთლიანი მოცულობის მყარი ნატანით ამოვსებას სათანადოდ 197 და 511 წელიწადში ვარაუდობს. გ. ხუბუა კი 100 და 270 წელიწადში. ჩვენ თავს ვიკავებთ მოყვანილი პროგნოზების სიზუსტის ანალიზისაგან, თუმცა ურიგო არ იქნებოდა თვითონ მკითხველს განესაზღვრა, არსებობს თუ არა ამ სიდიდეებს შორის პრინციპული განსხვავება.

გ. ხუბუა წერს: „თქვენ ჩამოთვალეთ ყველაფერი, რაც ხელს გაძლევდათ, მაგრამ მკითხველის თვალს აარიდეთ ეკოლოგიური სპექტრის რამდენიმე ზოლი, რომელთაგან ერთ-ერთი საკმაოდ ყინჩი ფერისაა". მე არ ვიცი, გ. ხუბუა რას გულისხმობს „ყინჩ" ფერში, მაგრამ ის, რომ მას საერთოდ წარმოდგენა არა აქვს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ეკოლოგიურ შეფასებაზე, უდავოა. საქმე ის არის, რომ არათუ ერთი, არამედ ათი „ყინჩი" ფერის ზოლიც არ ეყოფა ენგურჰესის კომპლექსურ ეკოლოგიურ შეფასებას.

„აფასებს" რა ზემოხსენებული სპეციალისტების აზრებს, გ. ხუბუა ამავე დროს საკმაოდ გაბედულ აპრიორულ დასკვნებსაც

...მცირე და მიკროელექტროდანადგარი, ელექტრონული აპარატურა... მერედა საიდან მოვიტანოთ ყოველივე ეს!", ცხადია, დაისმება კითხვა: თუ 50-იან წლებში 400 „მცირე ჰესის" ექსპლოატაციას ვახერხებდით, XX საუკუნის ბოლოს რაღა დაგვემართა?

და ბოლოს, გ. ხუბუა თავის წერილში ხშირად მიმართავს ეპითეტებს: „თქვენ ეს შეგნებულად გააკეთეთ", „ასე ხომ უფრო კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად გამოჩნდებოდით", „თქვენ მოდის ძახილს აჰყევით", „პირადი ინტერიული კივილი გაისმის", „მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა", „ერთგვარი უხერხულობა უნდა გეგრძნოთ", „ახლა უმთავრესი ბრალდებაც უნდა წაგიყენოთ", „ასე წერა როგორ შეიძლება", „უსაფუძვლო კი არა, ღიმილის მომგვრელიც კია", „უბრალოდ მკითხველს ვატყუებთ", „ტენდენციური ეკონომიკური შეფასების რეკორდი კი გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, პატივცემულ შოთა ადამიას ეკუთვნის"...

ჩემი აზრით, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გ. ხუბუას არც მორალური და არც იურიდიული უფლება არ ჰქონდა ასეთი ეპითეტებით შეემკო პროფესორები მ. ადამია და მ. იოსელიანი, დოცენტი რ. გოცირიძე, მწერლები მ. ხერგიანი და ვ. ჩხუმიანი, პიროვნებები, რომლებიც უანგაროდ ემსახურებიან ჩვენი რესპუბლიკის ხვალინდელ დღეს და თავისი დარგის აღიარებული სპეციალისტები არიან არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც.

სწორედ ამის გათვალისწინებით ერთმანეთის მიმართ, ალბათ, უფრო მეტი თავაზიანობა და თავშეკავება, დასაბუთებული და მართალი ფაქტებით მსჯელობა გვმართებს. მით უფრო, როდესაც საქმე მთელი ერის ცხოვრებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას ეხება.

ამ მხრივ, მეტი რომ არ ვთქვათ, გაკვირვებას იწვევს გაზეთ „კომუნისტის" 22 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ნ. კოდუას სტატიაც „ვიდრე ვიტყოდ... ...საქმე ის არის, რომ ავტორი ...ობს რადაც უნდა დაუჯდეს „...შაოს" რესპუბლიკაში ეკო-

...ჩვენი წერილი, ამაში ადვილად დარწმუნდებოდა (რა თქმა უნდა, თუ ამის სურვილიც ექნებოდა!), რადგან პროფესორ გ. ჩოგოვაძის ციტატის შემდეგ იქვე განვმარტავთ: „სწორედ სპეციალისტთა ამგვარი საპირისპირო ინფორმაციები განაპირობებს იმ კოლიზიებს, რომლებიც თან ახლავს წყალსაცავთა მოწყობას ჩვენს რესპუბლიკაში".

ახლა რაც შეეხება თვით რიცხვს — 15 მილიარდ კილოვატსაათს. საქმე ის არის, რომ 186 მცირე ჰესით მისი ნახევრის მიღებაც კი არათუ პრაქტიკულად, თეორიულადაც შეუძლებელია. ამის დასადგენად მხოლოდ ორი რიცხვის გაყოფა იყო საჭირო, არათუ გაზეთის ნახევარი გვერდი, რომელიც ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. კოდუამ მოანდომა მის გარკვევას.

ვუფრთხილდებით რა მკითხველის დროს, თავს ვიკავებთ ნ. კოდუას წერილის საერთო შეფასებისაგან, თუნდაც იმის გამო, რომ მას რეალურად მიაჩნია წყალსაცავების მოწყობით გამოწვეული ტენიანობის, ტემპერატურის ლოკალური ცვალებადობის და მიწისძვრების მართვა, ჩვენს წყალსაცავებზე რეკრეაციისა და სათევზე მეურნეობების შექმნა, პლაჟების, გამაჯანსაღებელი კომპლექსების მოწყობა და სხვა. და ეს მაშინ, როდესაც შავი ზღვის უნიკალური ბუნებრივი პლაჟებისათვის ვერ მოგვივლია, მდინარეებში წყლის გაჭუჭყიანების გამო თევზი ვერ შეგვინარჩუნებია, ვერ გადაგვიჭრია შაორის წყალსაცავისა და ნიკორწმინდის პრობლემა, ჟინვალის კომპლექსის სრულყოფილი ექსპლუატაცია და ა. შ.

ასე რომ, ვერც მსგავსი პუბლიკაციები, ვერც „ზევიდან ჩარევის" ფაქტორებით თავის მართლება ვერ დაიცავს „ჰიდროტექნიკოსის" მუნდირს". საჭიროა საზოგადოებრიობასთან ერთად, სათანადო ორგანოების მხარდაჭერით გააზრებული მოქმედება, რათა შეიქმნას ენერგეტიკის განვითარების მყარი საფუძველი, რომელიც სამუდამოდ უზრუნველყოფს რესპუბლიკის ხვალინდელ დღეს.

მიხეილ ლოლობერი
ტექნიკის მეცნიერებათ ქტორი, პროფესორი.